გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით სარალიძის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 224 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოში''. დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე -85 საკითხის განხილვაში.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის - 7 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 10 საკითხი.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრრულ და მიწის საკითხთა კომისიის- 5 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 26 საკითხი.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი მოსახლეობას, სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

ქალაქი გორი:

- შევხვდი გორი, ცხინვალის გზატ. 9ბ-ში მცხოვრებ მოსახლეობას, სადაც აქტუალურ საკითხი იყო ეზოს მოასფალტება თანადაფინანსებით.
- შევხვდი ცხინვალის გზატკეცილის 11, 11ა, 15 და ყიფიანის ქუჩის 28,26,15 მცხოვრებ მოსახლეობას, აქტუალური საკითხი მე-4 ბაგა-ბაღის მიმდებარე სათამაშო სტადიონის შეკეთება.
- შევხვდი გორში, ილიკო სუხიშვილის ქუჩა N20-ში მცხოვრებ მოსახლეობას. ამომრჩეველს ჰქონდა საკრებულოსთან თხოვნა რიგ პრობლემებთან დაკავშირებით, გორი, დ. ყიფიანის ქ. N15 - ეზოს მოასფალტება.
- შევხვდი გორი, ნინოშვილის ქუჩის მცხოვრებ მოსახლეობას, სადაც აქტუალური საკითხი იყო ის, რომ ნინოშვილის ქუჩის და პუშკინის ქუჩის გადაკვეთაზე სანიაღვრე არხის თავსახური არ აფარია, რაც საფრთხეს უქმნის როგორც ფეხით მოსიარულეს ისევე ტრანსპორტს.
- შევხვდი გორი, ცხინვალის გზატკეცილი N22-ში მცხოვრებ მოსახლეობას სადაც აქტუალური საკითხი არის ეზოს მოასფალტება.
- შევხვდი გორი, ტყვიავის ქ. №10-ში მცხოვრებ მოსახლეობას, სადაც აქტუალურ საკითხი იყო ერთ სადარბაზოში ლიფტის აღდგენა თანადაფინანსებით. აღნიშნული საცხოვრებელი ბინა წარმოადგენს ცხრა სართულიან შენობას.

- შევხვდი ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 15–ში მცხოვრებ მოსახლეობას, სადაც აქტუალურ საკითხი იყო: სარდაფები დაფარულია დიდი რაოდენობით წყლით.
- შევხვდი გორი, არაგვის ქუჩის მცხოვრებ მოსახლეობას სადაც აქტუალური საკითხი არის არაგვის ქუჩის საკანალიზაციო თავსახურების გზის დონამდე ამოწევა და მოასფალტება.
- შევხვდი გორში, ცხინვალის გზატკეცილი N15-ში მცხოვრებ მოსახლეობას. ამომრჩეველს ჰქონდა საკრებულოსთან თხოვნა რიგ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც დაფიქსირებულია შესაბამის აქტში

პრობლემების ნაწილი მოგვარებული იქნა, ნაწილი კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო 2025 წლის ბიუჯეტში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით სარალიძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი **2024 წლის 28 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე;

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: დავით სარალიძე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის წმინდაწყლის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მედეა მახარაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ბექა ლობჟანიძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის დავით სარალიძის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი დავით სარალიძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს დავით სარალიძეს , რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა დავით სარალიძემ აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ია გულიაშვილმა და გოცა ახალბედაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: **ბექა ლობჟანიძე;**

საკრებულოს წევრი: **დავით სარალიძე.**